ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 329

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა № 2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 26 აპრილის №5/23955 და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 21 ოქტომბრის №44–4424295415 წერილობითი მომართვების შესაბამისად:

მუხლი 1. გადაეცეს სახელმწიფოს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, საკუთრებაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი უძრავი ქონება, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ არსებული (საკადასტრო კოდის №03.06.27.063) არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი: 44341.00 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1–№5, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საფეხბურთო კლუბი ტორპედო ქუთაისისათვის“ (საიდენტიფიკაციო კოდის №212917183) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას სარგებლობის ვადის, 10 (ათი) წლის გასვლის შემდგომ, სახელმწიფოსაგან მოითხოვოს უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა №2/ჰერმან გმაინერის ქუჩა №2-ის მიმდებარედ; საკადასტრო კოდის №03.06.27.063; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობი: 44341.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1–№5) დაბრუნება.

მუხლი 3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების გადაცემის მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მუხლი 4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 6. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ირაკლი შენგელია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 172
„31“ 10 2024 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო